

საქართველოს მემენასომის  
სპეციფიკური  
მიკროზონები



# ATLAS

SPECIFIC MICROZONES OF VITICULTURE IN GEORGIA

2010

ავტორები:  
თეიმურაზ დეკანოზიძე  
მაია მირველასვილი

ატლასი გამოსაცემად მომზადდა საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მევენახეობის აგროტექნოლოგიური კვლევის და მიკროდარაიონების; ნიადაგმცოდნეობის; მეღვინეობის და ბიოქიმიის განყოფილებაში, წარმოებული კვლევის შედეგების საფუძველზე.

ფოტოების მონოდებისათვის ავტორები მადლობას უხდებიან ბატონებს:  
თ.კანდელაკს, დ.მალრაძეს და გ.ბარისაშვილს.

რედაქტორი:  
ნ. ჩხიკვაძე

Authors:  
TEIMURAZ DEKANOSIDZE  
MAIA MIRVELASHVILI

Atlas was prepared for publishing by the Institute of Horticulture, Viticulture and Oenology of Georgia - Department of Viticulture, Agro technology and Micro zoning; Department of Soil Science; Department of Oenology and Biochemistry.

Authors thank to Mr. Tamaz Kandelaki, David Maghradze and George Barisashvili for sending photos.

Redactor:  
N. CHKHIKVADE

საქართველოს მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის  
ინსტიტუტი

0159 ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის #6

ტელ/ფაქსი: (+995 32) 523011

www.ihvo.ge

e-mail: ihvo.info@gmail.com

temuri.dek@gmail.com

**Institute of Horticulture, Viticulture and Oenology of Georgia**

0159 Marshal Gelovani st #6, Tbilisi

Tel/Fax: (+995 32) 523011

www.ihvo.ge

e-mail: ihvo.info@gmail.com

temuri.dek@gmail.com





ჩვენს პლანეტაზე საქართველოს მეტად მცირე ტერიტორია უჭირავს. ესაა ორ ზღვას შორის მდებარე ქვეყანა, ევროპისა და აზიის შემართებული ყელი, ქვეყანა, გამორჩეული თვისის რელიეფითა და კლიმატური პირობებით (მარად თოვლით დაფარული მწვერვალები, ნახევარუდაბნოები, ტენიანი სუბტროპიკები და სხვა). აქ სახლობენ ქართველები "ერი გულადი, პურადი..." ერი, რომელსაც უსაზღვრო სიყვარული აქვს ვაზის კულტურისადმი, თავიანთ სუფსს მას, "სიცოცხლის გეგ" მიიწვას; თავისი ყოფიერების, კეთილდღეობისა და სარწმუნოების ერთიანობის სიმბოლოდ აღიარებს. საქართველო ვაზის წარმოებისა და გაკულტურების უძველესი კერაა მსოფლიოში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული უნიკალური მასალა - მრავალსაუკუნოვანი ყურძნის წინაშე, გენების მოვლასა და ღვინის დაყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული და არქიტექტურული ძეგლები; ველური ვაზის არსებობა ჩვენი ქვეყნის მიერ ტერიტორიაზე ჯიშთა რიცხვებზეა და მრავალფეროვნება, 500-ზე მეტი აპორიგენული ჯიში, საქართველოში შეყვანებული-მეღვინეობის არსებობისა და განვითარების ათასწლეულის ისტორიაზე მეტყველებს და ნამოჩენს ქვეყანას, რომლის სულიერებზე, კულტურასა და მატერიალურ ყოფაში განუზომებლად ამაღლი უჭირავს ვაზსა და ღვინოს.

ქვეყნის ბუნებრივი პირობების თავისებურებად ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ჩაუყარა საფუძველი აგროეთნოგრაფიული დარაობების ტრადიციას, რომელიც დროთა განმავლობაში იხვეწებოდა, ზუსტდებოდა, მეცნიერულ საწესებს იღებდა.

"საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ" და "ვაზისა და ღვინოს შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად ქვეყანა გადადის უმაღლესი ხარისხის ღვინოებისათვის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის საყოველთაოდ აღიარებული ნიშნების გამოყენებაზე, რომელიც აუცილებელ ნიშაპირობაა ელიტარული, საკეთესო სა-ღვინო თვისებებისა და ღირებულების პროდუქციის წარმოებისათვის, მისი არაკეთილსინდისიერი კონურეციისაგან დაცვისათვის.

ამ ნიშნების ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა მევენახეობის სპეციფიკური ზონების გეოგრაფიული ადგილის საზღვრების ზუსტი განსაზღვრა, ეკოლოგიური და ტექნოგენური ფაქტორების აღწერა და სხვა, რომლებიც განაპირობებენ მიკროზონისათვის შერჩეული ჯიშის მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენას და წარმოებული პროდუქციის განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხს.

ამ მიმართულებით აკად. ნ. ჩხატარაშვილის ხელმძღვანელობით, ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ, წლების მანძილზე მოპოვებული კვლევების შედეგების გაანალიზების (2003 - 2006 წწ), საფუძველზე შეიქმნა წინამდებარე ატლასი, სადაც წარმოდგენილია მევენახეობის თვრამეტე სპეციფიკური მიკროზონის რუკა და მოცემულია მათი მოკლე დახასიათება. წარმოჩენილია სანედლეულო მუზა, საყოველთაოდ აღიარებული ღვინოების "ახაშენი", "ზეაქ ქარა", "თელიანი", "ნაფარელი" და ა.შ., რომელთა სახელი და ღირებულება სანონის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში დაცულია კანონით - ადგილწარმოშობის დასახელების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს მევენახეობა - მეღვინეობის უნიკალური მიკროზონების აღიარების პირველ მცდელობას ევროსტანდარტების კანონმდებლობის დაცვითა და გათვალისწინებით.

Lying between two seas and connecting Europe and Asia, Georgian territory is a very small part of our planet. The country is exceptional thanks to its terrain and climate (lofty peaks covered in eternal snow, semi-deserts, humid sub-tropical areas, etc.). The Georgians are known for their bravery and hospitality, their infinite love and deep respect of wine. For centuries the Georgians have regarded wine as the symbol of their existence, well-being and unity of their belief, offering referring to it as 'a tree of life'. Moreover, Georgia is considered to be the land where the grape and wine culture originated. The archaeological excavations have yielded unique evidence, such as grape pits (dating back to the 5th millennium), many ethnographic and architectural monuments related to vine-growing and wine-making. The fact that wild grapes are spread across the whole country and the diversity of their types (more than 500 endemic varieties) further testify that vine-growing and wine-making have evolved in Georgia from time immemorial. Not surprisingly, grapes and wine constitute a significant part in the spiritual, material and cultural life of the country.

Specific natural conditions of Georgia gave rise to the tradition of agro-ethnographic diversity in the distant past. The time-long tradition has been evolving, refining and scientifically developing ever since.

In accordance with the Georgian laws on 'The Product Origin Name' and on 'The Vine and Wine', the country is planning to adopt international regulations in relation to the names of the highest quality wines, which presupposes giving them the geographic names of their places of origin. The entire process is paramount to protect the elitist wines known for their exceptional bouquet from forgery and unfair competitiveness.

One of the main prerequisites of the law is precise determination of the geographic areas of vine-growing, as well as description of ecological and technogenic factors. These are significant in order to reveal the best quality of the product (wine and wine-brandy) of the grape types selected for specific micro-zones across the country.

In this direction, by the instructions of Doctor N. Chkhatishvili with the collaboration of institute's scientists, were got research results (during 2003-2006 years), which are reflected in the present atlas. The latter comprises 18 maps of specific vine-growing zones complete with their short descriptions. The atlas also includes the material basis of the internationally acknowledged Georgian wines, such as Akhasheni, Khvanchara, Teliani, Napareuli, etc. The brand names of these wines are protected by the law, known as the Lisbon Agreement, adopted by a number of countries where wine types, their brand names and places of origin are registered and internationally respected.

Present Atlas (Work) is the first attempt of acknowledgement unique Georgian viticulture and oenology using and foreseeing Euro Standards and Legislation.



კახეთი, მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მევენახეობა-მეღვინეობის კლასიკური რეგიონი, მდებარეობს მდინარეების, ალაზნისა და ივრის აუზში. სამრეწველო ვენახები ძირითადად გადაჭიმულია ალაზნის თვალნარმტაც ველზე, ზღვის დონიდან 400-700 მეტრ სიმაღლეზე და დაცულია კავკასიონის ბუნებრივი ზღუდეებით.

კახეთის გომბორის ქედი ყოფს ორ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ ნაწილად - შიგნიკახეთი და გარეკახეთი.

მაღალხარისხოვანი ღვინის მომცემი ვენახები უმთავრესად შიგნიკახეთშია გაშენებული. გარეკახეთში მევენახეობა ძირითადად ჩრდილოეთ ნაწილშია განვითარებული - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი.

ზომიერად თბილი კლიმატი, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (3800-4000°C), ატმოსფერული ნალექების რაოდენობა (400-800 მმ), ნიადაგების სიჭრელე (ტყის ყავისფერი, ნემონალა-კარბონატული და ა.შ.), რელიეფის საუკეთესო ექსპოზიცია (სამხრეთული და ჩრდილო-აღმოსავლური) ქმნის გამორჩეულ ხელსაყრელ პირობებს მევენახეობის ისეთი უნიკალური მიკროზონების ჩამოსაყალიბებლად, როგორებიცაა: ნაფარეული, ქინძმარაული, ყვარელი, წინანდალი, თელაძი, ვახსუბანი, მუკუზანი, ახაშენი, კოტეხი, გურჯაანი, კარდანახი, ტბაანი, კახეთი და მანავი.

ჯიშმრავალი ვაზის აბორიგენული გენოფონდიდან სანარმოო დანიშნულებით ძირითადად გამოიყენება: რქანითელი, კახური მწვანე, საფერავი და ხიხვი. ამ ჯიშებისგან მზადდება ჰარმონიული, ხავერდოვანი, მაღალი საგემოვნო და ჯიშური არომატის მქონე ადგილნარმოობის დასახელების, სუფრის მშრალი, ნახევრადმშრალი, ნახევრადტკბილი, ევროპული და კახური ტიპის თეთრი და ნიქელი, ღვინოები და სხვ.

აქ საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და იხვენებოდა კახური ტიპის ღვინის დაყენების ორიგინალური ტექნოლოგია. რეგიონში მაღალგანვითარებულ მევენახეობა-მეღვინეობაზე მიგვიანიშნებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად სალოცავ და სარიტუალო ადგილებში (მელაანი, შილადა, ყარსუბანი) აღმოჩენილი მრავალფეროვანი საღვინე ჭურჭელი კათხები, მომცრო ქვევრი, სკულპტურა-ადამიანი ხელში ყანნით და სხვ., რომელზეც სიუხვის, ნაყოფიერების და ღვინის კულტის სიმბოლოები გამოსახული.

## ზოგადი მონაცემები:

- კოორდინატები
- ა.გ. 41°03′-42°04′
- ა.გ. 45°03′-46°47′
- ადმინისტრაციული მუნიციპალიტეტები: საგარეჯო, გურჯაანი, სიღნაღთელი, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, ყვარელი, ახმეტა.
- მუნიციპალიტეტის ცენტრი თელავი (მანძილი თბილისიდან 158,კმ **საერთო ფართობი 10399,კმ².**
- მთავარი მდინარეები:** ალაზანი, იორი.

## General Data

- **Location**
- Northern longitude 41°03′-42°04′
- Eastern latitude 45°03′-46°47′
- **Administrative Municipalities**
- Sagarejo, Gurjaani, Sigkhaghi, Telavi, Dedoplistskaro, Lagodekhi, Kvareli, Akhmeti.
- **Municipality Center**
- Telavi (distance from Tbilisi 158 km);
- **Total area**
- 10,399 km²;
- **Main rivers:**
- Alazani, Iori.





Kakheti is a region in East Georgia which represents classical zone of viticulture and oenology located in the basin of the Alazani and Iori Rivers. Industrial vineyards are mostly stretched over the beautiful Alazani valley at the elevation of 400-700 m above the sea level; they are protected with Caucasian, Kakheti and Gombori Ridge natural hedges.

The Gombori Ridge divides Kakheti Region in two totally different parts i.e. Shida Kakheti and Gare Kakheti.

Vineyards yielding grapes for producing high quality wines are mostly located in Shida Kakheti. In Gare Kakheti viticulture is mostly developed in its Northern part (Sagarejo Municipality).

Moderately warm (mild) climate, sum of active temperatures (3,800 – 4,000°), annual precipitation (400-800 mm), diversity of soils (forest brown, humus-carbonate soil etc), best exposition of the relief (South and North-East) create favourable conditions for establishment of unique micro-zones such as: Napareuli, Kindzmarauli, Kvareli, Tsinandali, Teliani, Vazisubani, Mukuzani, Akhasheni, Kotekhi, Gurjaani, Kardanakhi, Tibaani, Kakheti and Manavi.

Out of the multi-variety aboriginal genofond the following varieties are used for industrial purposes: Rkatsiteli, Kakhturi Mtsvane, Saperavi, Khikhvi. Harmonic, velvety terrior wines having high taste features and aroma (having titles of local origin), table dry, semi-dry, semi-sweet, European and Kakhetian white and red wines are produced from those varieties.

The original technology of producing Kakhetian wine has been created and developed over the centuries in this region; diversity of wine tableware (cups, small buried wine jugs and human sculpture with drinking horn in his hand and others which have symbols reflecting plenty, fertility and wine cults on them) found as a result of archeological excavations in religious and ritual locations (Melaani, Shilda, Karsubani) indicate the well developed viticulture and oenology sectors of that time.

K 31.429  
4

კახეთის რეგიონი  
Kakheti Region







## ზოგადი მონაცემები

- **კორდინატები**  
ჩ. გ. 42°03'  
ა. გ. 45°31'
- **მასილი მუნიციპალურ ცენტრამდე**  
145 კმ
- **სიმაღლე ზღვის დონიდან**  
400-500 მ
- **ატმოსფერული ნალექები**  
845 მმ
- **აქტიური ტემპერატურათა ჯამი**  
3920°C
- **ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპერატურა**  
23,7-23,4°C
- **სეტყვიან დღეთა საშ. რაოდენობა**  
1,6
- **საინფლუენცოზაზეა**  
ნაფარეული, სანოირე,  
ჯუგაანი, ართანი, ფაქელი, ლალისკური.
- **საერთო ფართობი**  
180 ჰა.
- **ნოტიო ღვინო „ნაფარეული“**  
ალკოჰოლი  
10,5-12,0 მოც. %  
შაქარი  
არაუმეტეს 4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მცავეანობა  
5,5-7,0 გ/დმ<sup>3</sup>
- **ფოთრი ღვინო „ნაფარეული“**  
ალკოჰოლი  
10,5-12,0 მოც. %  
შაქარი  
არაუმეტეს 4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მცავეანობა  
5,5-7,5 გ/დმ<sup>3</sup>
- **რეგ. N 857**

## General data

- **Location**  
Northern longitude 41°03'  
Latitude 45°31'
- **Distance to Telavi Municipality Center**  
14.5 km
- **Elevation above the sea level**  
400-500 m
- **Precipitation**  
845 mm
- **Sum of active temperatures:**  
3,920°C
- **Average monthly temperature of the warmest month**  
23.7-23.4°C
- **Average number of hail days**  
1.6
- **Villages:**  
Napareuli, Sanioré, Jugaani, Artana, Pshavelli, Laliskuri;
- **Area of the raw base**  
180 ha;
- **Chemical indicators "Napareuli" (red):**  
Alcohol  
10.5-12.0 volume %  
Sugar  
not more than 4 /dm<sup>3</sup>.  
Titratable acidity  
5.0-7.0 g/dm<sup>3</sup>.
- **Chemical indicators "Napareuli" (white):**  
Alcohol  
10.5-12.0 volume %  
Sugar  
not more than 4 /dm<sup>3</sup>.  
Titratable acidity  
5.0-7.5 g/dm<sup>3</sup>.
- **Req. N 857**

ნაფარეულის მიკროზონა მდებარეობს შიგინი-კახეთში. თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის ზემო ნელში, მარცხენა სანაპიროზე.

მდინარეების სტორისა და დიდხევ-ლოპოტას ხეობების ზეგველენით ჩამოყალიბებული მიკრო-კლიმატი, ნიადაგის სახესხვაობები, სტრუქტურა, ვაზის ჯიშების საფერავისა და რქანიულის განსაკუთრებული საგემოვნო მახვებუნებელი განსაპირობებენ ღვინო „ნაფარეულის“ ღირებუბას.

ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის მშრალი ნოტიო ღვინო „ნაფარეული“ მზადდება საფერავისაგან დურდოზე ბოლომდე დაფულებით. ღვინო მუქი ნოტილია, ხასიათდება ჯიშური არომატით, ექსტრაქტულობით, განვითარებული ბუკეტით.


ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის მშრალი თეთრი ღვინო „ნაფარეული“ მზადდება რქანიულისაგან. ღვინო ღია ჩაღისფერია, გემოთი სასიამოვნო, ხალისიანი, ხასიათდება ჯიშური არომატით, კარგად გამოხატული ბუკეტითა და მინდვრის ყვალღების ნაზი ტონებით.


Napareuli micro-zone is located in Shida Kakheti, Telavi municipality upstream of the Alazani river on its right bank.

Climate created by the impact of the rivers of Stori and Didkhevi-Lopota, soil varieties, structure, special qualities of vine varieties of Saperavi and Rkatsiteli condition merits of wine "Napareuli".

The highest quality dry red wine "Napareuli" subject to the place of origin title control is produced by bringing the grape must of vine variety of Saperavi to compete boiling. It has dark red colour; it is characterized with variety aroma, extractive qualities and developed bouquet.

The highest quality white wine "Napareuli" subject to the place of origin title control is produced by bringing to boiling the sweet of vine variety of Rkatsiteli. The wine is of light beige colour with pleasant taste, cheerful, characterized with variety aroma with well singled out bouquet and modest tones of wild flowers.





საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური



## ზოგადი მონაცემები

- კოორდინატები  
ჩ. გ. 41°54'  
ა. გ. 45°35'
- მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე  
8.5 კმ.
- სიმაღლე ზღვის დონიდან  
300-750 მ
- ატმოსფერული ნალექები  
845 მმ
- აბტურ ტემპერატურა ჯამი  
4100-3500°C
- ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპერატურა  
23,2°C
- სეტყვიანი დღეთა საშ. რაოდენობა  
2-3
- სანედლეული ბაზა  
აკურა, ვანთა, ბუშეთი, ქვემო ხოდაშენი, წინანდალი, კონდოლი, კანდოლი, სასამხრალი, მალაური, კურდგელაური, ვარდისუბანი.
- საერთო ფართობი  
653 ჰა.
- ღვინო „წინანდალი“  
ალკოჰოლი  
10,5-12,5მოც. %  
შაქარი  
4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავაიანობა  
5,5-7,5 გ/დმ<sup>3</sup>  
რეგ. N 855

## General Data

- Location**  
Northern longitude 41°54  
Eastern Latitude 45°35
- Distance to Gurjaani Municipality Center**  
8.5 km
- Elevation above the sea level**  
300-750 m
- Precipitation**  
845 mm
- Sum of active temperatures:**  
4,100-3,500°C
- Average monthly temperature of the warmest month**  
23.2 °C
- Average number of hail days**  
2-3
- Villages:** Akura, Vanta, Busheti, Kvemo Khodasheni, Tsinandali, Kisiskhevi, Kondoli, Nasamkhrali, Shalauri, Kurdgelauri, Vardisubani;
- Area of the raw base**  
653 ha;
- Chemical indicators of wine "Tsinandali":**  
**Alcohol**  
10.5-12.5 volume %  
**Sugar**  
not more than 4 g/dm<sup>3</sup>.  
**Titratable acidity**  
5.5-7.5 g/dm<sup>3</sup>.
- Reg. N855**


წინანდალის მიკროზონა მდებარეობს შიგნიკახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაქანებებზე.

დამახასიათებელი რელიეფი, დასაღვითიდან და აღმოსავლეთიდან მომართული ჰაერის მასების ზემოქმედებით ნარმოქმნილი სპეციფიკური მიკროკლიმატი, მდელოს ყავისფერი და ყავისფერ-კარბონატული ნიადაგები, ვაზის ჯიშების: რქანითლის და კახური მწვანის სამეურნეო-ტიქნოლოგიური მაჩვენებლები, მათი ჰარმონიზაცია განსაზღვრავენ ღვინო „წინანდალის“ განსაკუთრებულ ღირსებას.

ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი მშრალი თეთრი ღვინო „წინანდალი“ მზადდება რქანითლის (85%) და კახური მწვანისაგან (15%). ღვინო ჩალისფერია, სრული, დახვეწილი, ხასიათდება განვითარებული ბუკეტით და ჯიშური არომატით.


Tsinandali micro-zone is located in Shida Kakheti, Telavi municipality on the right bank of the Alazani River on the North-East slopes of Tshiv-Gombori Ridge. Characteristic relief, specific micro climate created by the impact of air masses from West and East, meadow brown and brown carbonate soils, economic-technological indicators of vine varieties of Rkatsiteli and Kakhuri Mtsvane and their harmonization condition special qualities of wine "Tsinandali".

Dry white wine "Tsinandali" subject to the place of origin title control is produced from the following vine varieties: Rkatsiteli (85%) and Kakhuri Mtsvane (15%). The wine is of light beige colour, complete, sophisticated, characterized by developed bouquet and variety aroma.





**მიკროზონა წინანდლი  
Tsinandali Microzone**



**პროექტის აღნიშვნები**

**LEGEND**

- წინანდალის ზონა  
Tsinandali zone
- ქალაქის ტერიტორია  
territory of city
- სოფლები, villages
- რკინიგზა, სადგურები  
railway, stations
- გაუმჯობესებული გზატკეცილი  
main highway
- გზატკეცილები, highways
- გაუმჯობესებული გზები  
roads without surfacing
- ფაბრი გზები  
ground roads
- მდინარეები, არხები  
rivers, canals
- მიწისქვეშა არხები  
underground canals
- რელიეფი, relief

მასშტაბი 1:100 000    SCALE 1:100 000



## ზოგადი მონაცემები

- კოორდინატები
- ჩ. გ. 41°54'
- ა. გ. 45°35'
- მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე
- 8,5 კმ
- სიმაღლე ზღვის დონიდან
- 560 მ
- ავტოსფერული ნაღებები
- 845 მმ
- აქტიურ ტემპერატურათა ჯამი
- 3300° C - 4250° C
- ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპერატურა
- 23,2-22,9° C
- სეტყვიან დღეთა საშ. რაოდენობა
- 2,3
- სანედლეული ბაზა
- წინამძღოლი
- საერთო ფართობი
- 60 ჰა.
- ღვინო „თელიანი“
- ალკოჰოლი
- 10,5-12,0 მოც. %
- შაქარი
- არაუმეტეს 4 გ/დმ<sup>3</sup>
- ტიტრული მჟავიანობა
- 5,5-7,0 გ/დმ<sup>3</sup>
- რეგ. N 856

## General Data

- Location
- Northern longitude 41°54'
- Eastern Latitude 45°35'
- Distance to Telavi Municipality Center
- 8.5 km
- Elevation above the sea level
- 560 m
- Precipitation
- 845 mm
- Sum of active temperatures:
- 3,300 - 4,250°C
- Average monthly temperature of the warmest month
- 23.2 - 22.9 °C
- Average number of hail days
- 2.3
- Villages:
- Tsinadali;
- Area of the raw base
- 60 ha;
- Chemical indicators of wine "Teliani":
- Alcohol
- 10.5-12.0 volume %
- Sugar
- not more than 4 /dm<sup>3</sup>.
- Titrateable acidity
- 5.5-7.0 g/dm<sup>3</sup>.
- reg. N 856

თელიანის მიკროზონა მდებარეობს შიდა-ნიკახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადების: კისისხევისა და ვანთისხევის შორის.


ზომიერად ნოტიო კლიმატი და მდელოს ყავისფერი ალუვიური ნიადაგები, ფრანგული ვაზის ჯიშის კაბერნე სოვინიონისათვის ქმნის ხელსაყრელ პირობებს, ღვინო „თელიანი“-ს დასამზადებლად.

ადგილწარმოშობის დასახელების, კონტროლირებადი მშრალი ნოტივი ღვინო „თელიანი“ მზადდება კაბერნე სოვინიონიდან დურღოზე სრული დადღეებით. ღვინო მუქი ნოტილია, ხასიათდება ჯიშური არომატით, პიკანტურობით, ჰარმონიულობით და განვითარებული ბუკეტით.


Teliani micro-zone is located in Shida Kakheti, Telavi Municipality between the right bank feeders (Kisiskhevi and Vantiskhevi) of the Alazani River.

Moderately humid climate and meadow brown alluvial soils create favourable conditions for the French vine variety of Cabernet Sauvignon in order to produce wine "Teliani" in Kakheti.

The dry, red wine "Teliani" subject to the place of origin title control is produced from vine variety of Cabernet Sauvignon by bringing the grape must to complete boiling. The wine is of dark red colour, characterized by variety aroma, piquancy, harmony and developed bouquet.



მიკროზონია თელიანი  
Teliani Microzone




**პირველი აღნიშვნები**  
LEGEND

- თელიანის ზონა  
Teliani zone
- ქალაქის ტერიტორია  
territory of city
- სოფლები, villages
- რკინიგზა, სადგურები  
railway, stations
- გაუმჯობესებული გზატკეცილი  
main highway
- გზატკეცილები, highways
- გაუმჯობესებული გზები  
roads without surfacing
- ვაშირი გზები  
ground roads
- მდინარეები, არხები  
rivers, canals
- მიწისქვეშა არხები  
underground canals
- რელიეფი, relief

მასშტაბი 1:100 000 SCALE 1:100 000

სტანდარტიზებული რელიეფი, საინჟინერო-გეოდეზიური სამსახური





## ზოგადი მონაცემები:

- **კოორდინატები**  
ჩ. გ. 41°30'  
ა. გ. 45°50'
- **მაქილი მუნიციპალურ ცენტრამდე**  
7,0 კმ
- **სიმაღლე ზღვის დონიდან**  
250-550 მ
- **ატმოსფერული წაღვები**  
1070 მმ
- **აბტიურ ტემპერატურათა ჯამი**  
4100-3700°C
- **ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპერატურა**  
23,6°C
- **სეტყვიან დღეთა საშ. რაოდენობა**  
2,1
- **სანეღვლელო ბაზა**  
შიდა, ენისელი, საბუე, ალმატი, გრემი, შაქრიანის შუა და ზედა ნაწილი, ფატმასური, სანაგარდო, კუტატანი, ნინკაინასისური, ჩანტლისყური, ზინობიანი, ახალსოფლი, თხილისწყარო, მთისძირი, ჭაკაინი ძირითადად და ნაწილობრივ გავასი-სა და ბაღლოფანის ტერიტორიები.
- **საერთო ფართობი**  
61,4 ჰა
- **ღვინო „ქინძმარაული“**  
ალკოჰოლი  
10,5-12,0 მოც. %;  
შაქარი  
30-50 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა  
5-7 გ/დმ<sup>3</sup>
- **რეგ. N 861**

## General Data

- **Location**  
Northern Longitude 41°30'  
Eastern Latitude 45°50'
- **Distance to Kvareli Municipality Center**  
7.0 km
- **Elevation above the sea level**  
250-550 m
- **Precipitation**  
1,070 mm
- **Sum of active temperatures:**  
4,100-3,700°C
- **Average monthly temperature of the warmest month**  
23.6°C
- **Average number of hail days**  
2.1
- **Villages:**  
Shilda, Eniseli, Sabue, Almati, Gremi, middle and upper parts of Shakriani, Patmasuri, Sanavardo, Kuchatani, Tsitskanaant Seri, Chantlis Kuri, Zinobiani, Akhalsopeli, Tkhillistskaro, Mtsidziri, Chikaaani, mainly and partly territories of Gavaza and Balghajiani;
- **Area of the raw base**  
61.4 ha;
- **Chemical Indicators of wine "Qindzmarauli":**  
Alcohol  
10.5-12.0 volume %
- **Sugar**  
not more than 30-50 /dm<sup>3</sup>.
- **Titrateable acidity**  
5.0-7.0 g/dm<sup>3</sup>.
- **reg. N 861**

ქინძმარაულის მიკროზონა მდებარეობს შიდაკახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში.

კავკასიონის მაღალი მთების გავლენით ჩამოყალიბებული მიკროკლიმატი, მდინარეების ჩამონახიდან შეფუცილებზე შექმნილი ხელსაყრელი სითბური რეჟიმი და საფერავის უნიკალური ჯიშური თვისებები განსაზღვრავენ ორიგინალური, მაღალხარისხოვანი, ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო, "ქინძმარაულის" განსაკუთრებულ ღირსებას.


ადგილწარმოშობის დასახელების, კონტროლირებადი, უმაღლესი ხარისხის ნითელი ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო "ქინძმარაული" მზადდება საფერავის ჯიშის ვაზისგან. ღვინო მუქი ბრონეულისფერია, ჰარმონიული და ექსტრაქტული, მნიფე ალუბლის ტონებით, ხავერდოვანი, ხასიათდება ორიგინალური ბუკეტითა და ჯიშური არომატით.

Kindzmarauli micro-zone is located in Shida Kakheti, Kvareli Municipality.

The microclimate impacted by high mountains of Caucasus, favourable thermal conditions created on black shale brought by rivers and unique features of vine Saperavi condition special characteristics of high quality, naturally semi-sweet wine "Kindzmarauli".

The highest quality, naturally semi-sweet red wine "Kindzmarauli" subject to the place of origin title control is produced from vine variety of Saperavi. The wine is of dark pomegranate colour, harmonic and extractive with ripe cherry tones, velvety, characterized by original bouquet and variety aroma.









## ზოგადი მონაცემები

- **კოორდინატები**  
ჩ.გ. 41°44'  
ა.გ. 45°27'
- **მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე**  
10 კმ
- **სიმაღლე ზღვის დონიდან**  
450-800 მ.
- **აბრეშფერული ნალექები**  
400-600 მმ.
- **აქტიურ ტემპერატურა ჯამი**  
3750 - 3450°C
- **ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპერატურა**  
22-23°C
- **სტეციან დღეთა საშ. რაოდენობა**  
0,9-2,6
- **სანედლეულო ბაზა**  
თოხლაურო, მანავი, ბურღინი, გიორგინინდა, ანთოკი, მარიამჯვარი, დიდი ჩაილური, პატარა ჩაილური, კაკაბული, ვერხვიანი.
- **საერთო ფართობი**  
346 ჰა (ურწყავი)
- **ღვინო "მანავი"**  
ალკოჰოლი  
10,5 - 12,5 მოც. %;  
შაქარი  
არაუმეტეს 4 გ/დმ<sup>3</sup>.
- **ტიტრული მჟავიანობა**  
5 - 7 გ/დმ<sup>3</sup>;  
რეგ. **N 874**

## General Data:

- **Coordinates**  
Northern longitude - 41°44'  
Eastern latitude - 45°27'
- **Distance to Sagarejo Municipality Center**  
10 km
- **Elevation above the sea level**  
450-800 m
- **Precipitation**  
400-600 mm;
- **Sum of active temperatures**  
3,750 - 3,450 °C.
- **Average temperature of the warmest month**  
22-23 °C;
- **Average number of hail days**  
0,9 - 2,6;
- **Villages:** Tokhlauri, Manavi, Burdiani, Giorgitsminda, Antoki, Mariamjvari, Didi Chailuri, Patara Chailuri, Kakabeti, Verkhviani.
- **Area of raw base**  
346 ha (non-irrigated)
- **Chemical indicators of wine "Manavi":**  
**Alcohol**  
10,5 - 12,5 volume %;  
**Sugar**  
not more than 4 g/dm<sup>3</sup>
- **Titratable acidity**  
5-7 g/dm<sup>3</sup>
- **reg.N 874**

მანავის მიკროზონა მდებარეობს ვარეკახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე.

ივრის ზეგნის შემადგენელი - სუსტად დანაწევრებული რელიეფი, ზომიერად ნოტიო კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთარი და თბილი ხანგრძლივი ზაფხული, ყველაფერი კარბონატული ნიადაგები, ვაზის უნიკალური ჯიშის, კახური მწვანის, არომატულობა და გამორჩეული სინაზე განაპირობებენ ღვინო "მანავის" განსაკუთრებულ ღირებულებას.

ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი მშრალი თეთრი ღვინო "მანავი" მზადდება ვაზის ჯიშების - კახური მწვანისა და რქანთილისაგან (15 %-მდე). ღვინო - ღია ჩალისფერია, მომწვანო ელფერით, ნაზი გემოთი, პარმონიული, დახვეწილი, ხალისიანი, ხილის ტონებით, ხასიათდება ჯიშური არომატით, განვითარებული ბლუექტით.



Manavi micro-zone is located in Gare Kakheti in Sagarejo Municipality on the left bank of the Iori River.


The elevated plateau of the Iori River - slightly divided relief, moderately humid climate, moderately cold winter and warm long summer, brown carbonate soils, aroma and distinguished delicacy of unique vine variety of Kakhuri Mtsvane condition special merits of wine "Manavi".

The dry white wine Manavi subject to the place of origin title control is produced from the following vine varieties: Kakhuri Mtsvane and Rkatsiteli (15%). The wine is light beige with green tint, delicate taste, harmonic, sophisticated having cheerful fruit tones which is characterized with variety aroma and developed bouquet.





მიკროზონა მანავი  
Manavi microzone



საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ინფორმაციის ცენტრი



## ზოგადი მონაცემები

- კოორდინატები  
ჩ. გ. 41°58'  
ა. გ. 45°50'
- მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე  
2-3 კმ.
- სიმაღლე ზღვის დონიდან  
450 მ
- ატმოსფერული ნალექები  
1070 მმ
- აბსოლუტური ტემპერატურათა ჯამი  
4100-3700°C
- ყველაზე თბილი დღის საშუალო ტემპერატურა  
23,6°C
- სეტყვიან დღეთა საშ. რაოდენობა  
2,1
- სანედლეული ბაზა  
კუჭატანი, გავაზი, ჭიკაანი, ახალსოფელი,  
მთისძირი
- საერთო ფართობი  
975 ჰა.
- ღვინო „ყვარელი“  
ალკოჰოლი  
10,5-12,0 მოც. %  
შაქარი  
არაუმეტეს 4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა  
5,5-7,0 გ/დმ<sup>3</sup>
- რეგ. N 876

ყვარლის მიკროზონა მდებარეობს შიდა მთიანეთში ყვარლის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარცხენა სანაპიროზე (გალმამხარი).


მაღალმთიანი სისტემების ზეგავლენით აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გადმონაცვლებული ჰაერის მასები, ზომიერად ნოტიო კლიმატი ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით, ალუვიური ნიადაგების ნაირსახეობები, კავკასიონიდან ჩამონადენი მდინარეების: ბურსას და ჩაგურგულაწყლის ალაზანიან შეერთების ადგილზე შექმნილი გამოწვრილი კონუსები, საფერავის ჯიშის ვაზის უნიკალური თვისებები განაპირობებენ ღვინო „ყვარლის“ განსაკუთრებულ ღირსებას.

ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი, მშრალი ნივთილი ღვინო „ყვარელი“ მზადდება საფერავისგან დურდობზე სრული დადუღებით. ღვინო მუქი ნივთილი შეფერილობისაა, ხასიათდება ჯიშური არომატით, ექსტრაქტულობით, პარმონიულობით, კარგად განვითარებული ბუკეტით.

Kvareli micro-zone is located in Shida Kartli Kvareli Municipality on the left bank of the Alazani River (Gaghmakhari).

Air masses moved by the impact of highly mountainous systems from East and West, moderately humid climate, hot summer and moderately cold winter, varieties of alluvial soils, prominent cones created at the connection of the rivers of Bursa and Chagurgulatskali with the Alazani river, unique features of vine variety of Saperavi condition special merits of wine "Kvareli".

The dry, red wine "Kvareli" subject to the place of origin title control is produced from vine variety of Saperavi by bringing to complete boiling of the grape must. The wine is of dark red colour, characterized with variety aroma, extractive, harmonic and having well developed bouquet.



## General Data

- Location  
Northern longitude 41°58  
Eastern Latitude 45°50
- Distance to Kvareli Municipality Center  
2-3 km
- Elevation above the sea level  
450 m
- Precipitation  
1,070 mm
- Sum of active temperatures:  
4,100-3,700°C
- Average monthly temperature of the warmest month  
23.6 °C
- Average number of hail days  
2.1
- Villages  
Kuchiani, Gavazi, Chikani, Akhalsopeli, Mts Dziri;
- Area of the raw base  
975 ha;
- Chemical indicators of wine "Kvareli":  
Alcohol  
10.5-12.0 volume %  
Sugar  
not more than 4 /dm<sup>3</sup>.  
Titratable acidity  
5.0-7.0 g/dm<sup>3</sup>.
- reg. N 876





გურჯაანის მიკროზონა მდებარეობს შიდაკახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე.

სუბტროპიკულ და ზომიერ განედებში დავსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან გადმონაცვლებული ჰაერის მასები, ყავისფერი, მდელოს ყავისფერი, ალუვიური და დელუვიური ნივთავები; ვაზის ჯიშების: რქანთლის და კახური მწვანის განსაკუთრებული თვისებები განსაზღვრავენ ღვინო გურჯაანის ორიგინალობას და მაღალხარისხს.

ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი კახური ტიპის მშრალი თეთრი ღვინო „გურჯაანი“ მზადდება ვაზის ჯიშების: კახური მწვანისა და რქანთლისაგან. ღვინო ღია ჩალისფერია, ჰარმონიული, ხასიათდება ჯიშური არამატით და სრული დახვეწილი განვითარებული ბუკეტით.



Gurjaani Micro-zone is located in Shida Kakheti, Gurjaani Municipality on the right bank of the Alazani River.

Air masses moved from West and East in subtropical and moderate latitudes, brown, meadow brown, alluvial and delluvial soils and distinguished features of the following vine varieties: Rkatsiteli and Kakhuri Mtsvane condition the original character and high quality of “Gurjaani” Wine.

Dry white wine “Gurjaani” (Kakhetian type) subject to the place of origin title control is produced from vine varieties of Kakhuri Mtsvane and Rkatsiteli. The wine is of beige colour, harmonic having variety aroma and full sophisticated and developed bouquet



### ზოგადი მონაცემები

- კოორდინატები  
ჩ. გ. 41°45'  
ა. გ. 45°48'
- მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე 2,5 კმ.
- სიმაღლე ზღვის დონიდან 250-1000 მ
- ატმოსფერული ნალექები 804 მმ.
- აქტიურ ტემპერატურათა ჯამი: 3930°C
- ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპერატურა 23,6°C
- სეტყვიან დღეთა საშ. რაოდენობა 1,7
- სანედლეულო ბაზა ბაკურციხე, კოლაგი, ვეჯინი, ძირკოკი, ჭანდარი გურჯაანი, ქ. გურჯაანის საგარეუბნო ზონა, რი, კოტეხი, ჩოქლაგი, შაშანი, კალაური და ვაჩნაძიანის ტერიტორიის ზედა ნაწილი
- საერთო ფართობი 1151 ჰა.
- ღვინო „გურჯაანი“  
ალკოჰოლი 10,5-12,5 მოც. %  
შაქარი 4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა 5,5-7,5 გ/დმ<sup>3</sup>
- რეგ. N 860

### General Data

- **Location**  
Northern longitude 41°45'  
Eastern Latitude 45°48'
- **Distance to Gurjaani Municipality Center**  
2.5 km
- **Elevation above the sea level**  
250-1,000 m
- **Precipitation**  
804 mm
- **Sum of active temperatures**  
3,930°C
- **Average monthly temperature of the warmest month**  
23.6°C
- **Average number of hail days**  
1.7
- **Villages**  
Bakurtsikhe, Kolagi, Vejini, dzirkoki, Chandari, Gurjaani, suburb of Gurjaani Town, Kotekh, Chumlaki, Shashiani, Kalauri and upper part of Vachnadiani territory
- **Area of the raw base**  
1,151 ha
- **Chemical indicators of wine “Gurjaani”**  
**Alcohol**  
10.5-12.5 volume %  
**Sugar**  
not more than 4 g/dm<sup>3</sup>.  
**Titrateable acidity**  
5.5-7.5 g/dm<sup>3</sup>.
- **Reg. N 860**







## ზოგადი მონაცემები

- კოორდინატები -  
ჩ. გ. 41°48'  
ა. გ. 45°44'
- მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე  
9,0 კმ
- სიმაღლე ზღვის დონიდან  
350-750 მ
- ატმოსფერული წალექები  
870 მმ
- აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  
4,120-3,440°С
- ყველაზე თბილი თვის  
სამ. ტემპერატურა  
23,6°С
- სეტყვიან დღეთა საშ. რაოდენობა  
2,1
- საწვდელულო ჰაზა  
ზეგაანი, მუკუზანი, ჩუმლაყი, ველისციხე,  
ვაზისუბანი; ასევე დედოფლის ზეარის,  
ფაფრის მიწებების, დამარჩინეს,  
ნადარბაზვის ტერიტორიები.
- საერო ფართობი  
246 ჰა.
- ღვინო „მუკუზანი“  
აღკვეთილი  
10,5-12,5 მოც. %  
შაქარი  
4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა  
5,0-7,5 გ/დმ<sup>3</sup>
- რეგ. N 858



მუკუზნის მიკროზონა მდებარეობს შიგნიკახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე.

სუსტად დახრილი ფერდობებითა, გაჯაკეებითა და შლიეფებით ნარმოდგენილი რელიეფი, ზომიერად ნოტიო კლიმატი (ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი, ალუვიური, მდელოს ყავისფერი და ყავისფერი ნიადაგების სახესხვაობები, საფერავის ჯიშის საუკეთესო სამეურნეო-ტექნოლოგიური მაჩვენებლები განსაზღვრავენ ღვინო „მუკუზნის“ განსაკუთრებულ ლირსებას.

ადგილნარმოშობის დასახელების კონტროლირებადი მშრალი წითელი ღვინო „მუკუზანი“ მზადდება საფერავისაგან. ღვინობრონუნუსფერია, გემოზე სრული, პარმონიული, ხავერდოვანი, დახვეწილი, ხასიათდება გამობატული ჯიშური არომატით და ბუკეტით.

## General Data

- Location  
Northern longitude 41°48'  
Eastern Latitude 45°44'
- Distance to Gurjaani Municipality Center  
9,0 km
- Elevation above the sea level  
350-750 m
- Precipitation  
870 mm
- Sum of active temperatures  
4,120-3,440°С
- Average monthly temperature of the warmest month  
23,6°С
- Average number of hail days  
2,1
- Villages:  
Zegeani, Mukuzani, Chumlaki, Velistsikhe, Vazisubani, Dedoplistsvari, Papris Mindvrebli, Damarchines, Nadarbazevi Territories;
- Area of the raw base  
246 ha;
- Chemical indicators of wine "Mukuzani":  
Alcohol  
10,5-12,5 volume %  
Sugar  
not more than 4 g/dm<sup>3</sup>.  
Titratable acidity  
5,0-7,5 g/dm<sup>3</sup>.
- Reg. N 858



Mukuzani micro-zone is located in Shida Kakheti Gurjaani municipality on the right bank of the Alazani River.

Slightly inclined slopes, plains and tail areas in some parts of the relief, moderately humid climate with hot summer and moderately cold winter, alluvial, meadow brown and brown soil varieties, best economic-technological indicators of the vine variety Saperavi condition special qualities of wine "Mukuzani".

Dry red wine "Mukuzani" subject to the place of origin title control is produced from vine variety of Saperavi. It has dark red colour with full taste, harmonic, velvety, sophisticated characterized by variety aroma and bouquet.







## ზოგადი მონაცემები

- კოორდინატები  
ჩ. გ. 41°49'  
ა. გ. 45°43'
- მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე  
12 კმ.
- სიმაღლე ზღვის დონიდან  
550 მ
- ატმოსფერული ნალექები  
880 მმ
- აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  
3,730°C
- ყველაზე თბილი თვის  
სამ. ტემპერატურა  
23,0-22,0°C
- სეტყვიან დღეთა საშ. რაოდენობა  
2,2
- ხანდელწლი კაზა  
ვაზისუბანი, კალაური, შამიანი, ვანაძიანი.
- საერთო ფართობი  
220 ჰა.
- დიუნო „ვაზისუბანი“  
ალკოჰოლი  
10,5 - 12,5მოც. %  
შაქარი  
4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა  
5,5-7,5 გ/დმ<sup>3</sup>  
რეგ. **N 871**

მიკროზონა ვაზისუბანი მდებარეობს შიგნიკახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის დინების შუა ნელში, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაქანებაზე.

მიკროზონაში შექმნილი ზომიერად ნოტიო კლიმატი, ალუვიური, მდელოს ყავისფერი და ყავისფერი ნიადაგები, ვაზის ჯიშების: რქანითლისა და კახური მწვანის არომატულობა განსაზღვრავს ღვინო „ვაზისუბნის“ განსაკუთრებულ ღირსებას.

ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი თეთრი მშრალი ღვინო „ვაზისუბანი“ მზადდება რქანითლისა (85%) და კახური მწვანისგან (15%). ღვინო ღია ჩალისფერია, ხასიათდება ჰარმონიულობით და ყვავილების ტონებით.

Vazisubani micro-zone is located in Shida Kakheti, Gurjaani Municipality in the middle course of the Alazani River on the North-East slope of Tsvi-Gombiri Ridge.

Moderately humid climate, alluvial meadow brown and brown soils and the aroma of vine varieties of Rkatsiteli and Kakhuri Mtsvane condition special features of wine "Vazisubani".

Dry white wine "Vazisubani" subject to the place of origin title control is produced by complete boiling of sweet of vine varieties of Rkatsiteli (85%) and Kakhuri Mtsvane (15%) by complete boiling of grape. The wine is of light beige colour and is characterized by harmony and flower tones.

## General Data

- **Location**  
Northern longitude 41°49'  
Eastern Latitude 45°43'
- **Distance to Gurjaani Municipality Center**  
12 km
- **Elevation above the sea level**  
550 m
- **Precipitation**  
880 mm
- **Sum of active temperatures:**  
3,730°C
- **Average monthly temperature of the warmest month**  
23.0 - 22.0 °C
- **Average number of hail days**  
2.2
- **Villages:**  
Vazisubani, Kalauri, Shashiani, Vachnadziani;
- **Area of the raw base**  
220 ha
- **Chemical indicators of wine "Vazisubani":**  
**Alcohol**  
10.5 - 12.5 volume %  
**Sugar**  
not more than 4 g/dm<sup>3</sup>.  
**Titrateable acidity**  
5.5-7.5 g/dm<sup>3</sup>.  
■ **Reg. N 871**











## ზოგადი მონაცემები

- კოორდინატები  
ჩ. გ. 41°48'  
ა. გ. 45°44'
- მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე  
7 კმ.
- სიმაღლე ზღვის დონიდან  
350 - 700 მ
- ატმოსფერული ნალექები  
860 მმ.
- უბნოვრ ტემპერატურათა ჯამი  
3950 - 3700°C
- ყველაზე თბილი თვის  
საშ. ტემპერატურა  
23.7 - 23.5°C
- სეტყვიან დღეთა საშ. რაოდენობა  
1.6 - 2.1
- სანდელეულო ბაზა  
ახაშენი, ჩუმლაკი, ფაფრის მინდვრები.
- საერთო ფართობი - 112 ჰა.
- ღვინო „ახაშენი“  
ხა. კოშკი  
10.5 - 12.0 მოც. %  
შქარი  
30 - 50 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა  
5.0 - 7.0 გ/დმ<sup>3</sup>
- რეგ. N 859

## General Data

- **Location**  
Northern longitude 41°48'  
Eastern Latitude 45°44'
- **Distance to Gurjaani Municipality Center**  
7.0 km
- **Elevation above the sea level**  
350-700 m
- **Precipitation**  
860 mm
- **Sum of active temperatures:**  
3,950 - 3,700°C
- **Average monthly temperature of the warmest month**  
23.7-23.5°C
- **Average number of hail days**  
1.6 - 2.1
- **Villages:**  
Akhasheni, Chumlaki, Papris mindvrebi;
- **Area of the raw base** 112 ha;
- **Chemical indicators of wine "Akhasheni":**  
Alcohol  
10.5-12.0 volume %  
Sugar  
not more than 30-50g/dm<sup>3</sup>.  
Titratable acidity  
5.0-7.0 g/dm<sup>3</sup>.
- **Reg. N 859**

ახაშენის მიკროზონა მდებარეობს შიდაკახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე.


მშრალი სუბტროპიკულიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი კლიმატი, ცხელი ზაფხული და ზომიერად ცივი ზამთარი. ალუვიური, მდელოს ყაყისფერი და ყაყისფერი ნიადაგები. ვაზის ჯიშის საფერავის საუკეთესო თვისებები განაპირობებენ ღვინო „ახაშენის“ უნიკალურობას.


ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი ნივთი ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო „ახაშენი“ მზადდება საფერავისაგან. ღვინო მუქი ლალისფერია, მაღალექსტრაქტული, ჰარმონიული, ხავერდოვანი, საკმაოდ სხეულიანი, დახვეწილი, სასიამოვნო სიტკბოთი, ხასიათდება ხილის ტონებითა და ჯიშური არომატით.

Akhasheni micro-zone is located in Shida Kakheti, Gurjaani Municipality on the right bank of the Alazani River.

Climate transitional from dry subtropical to moderately humid subtropical, hot winter and moderately cold winter, alluvial soils which are replaced by meadow brown and brown soils in accordance with zone elavation, qualities of vine variety Saperavi condition unique qualities of wine "Akhasheni".

Naturally semi-sweet red wine "Akhasheni" subject to the place of origin title control is produced from vine variety of Saperavi. It has dark red colour, high extractive, harmonic, velvety, solid enough, sophisticated with pleasant sweetness, characterized by fruit tone and variety aroma.









## ზოგადი მონაცემები

- კოორდინატები  
ჩ. გ. 41°48'  
ა. გ. 45°44'
- მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე  
11 კმ
- სიმაღლე ზღვის დონიდან  
350-750მ
- ატმოსფერული წაღვეები  
770 მმ
- აქტიურ ტემპერატურათა  
ჯამი: 4,000-3,500°C
- ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპერატურა  
24-22°C
- სეტყვიან დღეთა საშ. რაოდენობა 2,9
- სანედლეულო ბაზა  
კარდანახი
- საერთო ფართობი  
345 ჰა.
- ლეინო „კარდანახი“  
ალკოჰოლი  
18,0 მოც%  
შაქარი  
არაუმეტეს 100 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა  
5,0-6,0 გ/დმ<sup>3</sup>
- რეგ. N 872

## General Data

- Location  
Northern longitude 41°48  
Eastern Latitude 45°44
- Distance to Gurjaani Municipality Center  
11 km
- Elevation above the sea level  
350-750 m
- Precipitation  
770 mm
- Sum of active temperatures  
4,000 – 3,500°C
- Average monthly temperature of the  
warmest month  
24-22°C
- Average number of hail days  
2,9
- Villages  
Kardanakhi
- Area of the raw base  
345 ha
- Chemical indicators of wine "Kardanakhi"  
Alcohol  
18.0 volume%  
Sugar  
not more than 100 g/dm<sup>3</sup>  
Titratable acidity  
5.0-6.0 g/dm<sup>3</sup>
- Reg. N 872

კარდანახის მიკროზონა მდებარეობს შვინიკახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე. გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ დაქანებებზე.

მთისნა გორაკობრცვიანი რელიეფი, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მომართული ჰაერის მასების ზემოქმედებით წარმოქმნილი მიკროკლიმატი, ურწყავი ნემომპალა კარბონატული, ხირხათიანი ნიადაგები და ვაზის უნიკალური ჯიშების: რქანითლის, ხიხვის და კახური მშენის გამოჩენული თვისებები (წვენის მაღალი შაქრიანობა, ზომიერი მჟავიანობა და სასაიომოერ არომატი) განაპირობებენ ღვიზო „კარდანახის“ ორიგინალობას.


ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი თეთრი შემავრებული ღვიზო „კარდანახი“ მზადდება აღნიშნული ჯიშებისგან დურდოზე დაყოვნებით და მიღებული ნატურალური ტკბილი დასაპირტვით. ღვიზო ქარვისფერი, ხასიათდება ჯიშური არომატით, თავფლის ტონებით, პარმონიულობითა და ზომიერი ექსტრაქტულობით.




Kardanakhi micro-zone is located in Shida Kartli, Gurjaani Municipality on the right bank of the Alazani River, on the Northern-Eastern slopes of Gombori Ridge.

Foothill hilly relief, micro-climate created by the impact of air masses from West and East, nonirrigated humus carbonate skeletal soils and distinguished features (high sugar content of the juice, moderate acidity and pleasant aroma) of the unique vine varieties such as: Rkatsiteli, Khikhvi and Kakhuri Mtsvane condition originality of wine "Kardanakhi".

The white wine subject to the place of origin title control having higher alcohol contents and origin name which is called "Kardanakhi" is produced by means of keeping grape must of the above variety and fortifying natural sweet resulted from it. The wine is of amber colour and is characterized by variety aroma, honey tones as well as with harmony and moderate extractive features.









ზოგადი მონაცემები

- კოორდინატები  
ჩ. გ. 41°45'  
ა. გ. 45°48'
- მანძილი მუნიციპალურ ცენტრამდე  
2-3 კმ.
- სიმაღლე ზღვის დონიდან  
250-700 მ
- გემოსფერული ნალექები  
800 მმ.
- ატმოსფერული წყაროთა ჯამი  
4000-3600°C
- ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპერატურა  
23,6°C
- სეტყვიან დღეთა რა. პროცენტია  
1,7
- საწილდელეული ბაზა  
კოტეხი
- საეწიო ფართობი  
200 ჰა.
- თეთრი ღვინო „კოტეხი“  
ალკოჰოლი  
10,5 - 12,0 მოც. %  
შაქარი  
არაუმეტეს 4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა  
5,5-7,5 გ/დმ<sup>3</sup>
- წითელი ღვინო „კოტეხი“  
ალკოჰოლი  
10,5 - 12,0 მოც. %  
შაქარი  
არაუმეტეს 4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა  
5,0-7,0 გ/დმ<sup>3</sup>
- რეგ. N 879

General Data

- **Location**  
Northern longitude 41°45'  
Eastern Latitude 45°48'
- **Distance to Gurjaani Municipality Center**  
2-3 km
- **Elevation above the sea level**  
250-700 m
- **Precipitation**  
800 mm
- **Sum of active temperatures:**  
4,000-3,600°C
- **Average monthly temperature of the warmest month**  
23,6°C
- **Average number of hail days**  
1,7
- **Villages:**  
Kotekhi;
- **Area of the raw base**  
200 ha;
- **Chemical indicators "Kotekhi" white:**  
Alcohol 10,5-12,0 volume %  
Sugar - not more than 4 g/dm<sup>3</sup>,  
Titratable acidity 5,5-7,5 g/dm<sup>3</sup>,
- **Chemical indicators "Kotekhi" red:**  
Alcohol  
10,5-12,0 volume %  
Sugar  
not more than 4 g/dm<sup>3</sup>,  
Titratable acidity  
5,0-7,0 g/dm<sup>3</sup>,
- **Reg. N 879**

კოტეხის მიკროზონა მდებარეობს შიდაკახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე.

მიკროზონაში შექმნილი მშრალი სუბტროპიკულიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი კლიმატი, ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული; ალუვიური, მდელოს ყავისფერი, მუქი ყავისფერი ნიადაგები; რქანითლის ჯიშის მაღალი საგემოვნო თვისებები და არომატულობა განაპირობებენ ღვინო „კოტეხის“ განსაკუთრებულ ღირსებას.

ადგილნარმოშობის დასახელების კონტროლირებადი მშრალი თეთრი ღვინო „კოტეხი“ მზადდება რქანითლის დურღოზე სრული დადუღებით. ღვინო ღია ჩალისფერია, ხასიათდება ჯიშური არომატითა და სასიამოვნო გემოთი.

ადგილნარმოშობის დასახელების კონტროლირებადი მშრალი წითელი ღვინო „კოტეხი“ მზადდება საფერავის დურღოზე სრული დადუღებით. ღვინო მენამულისფერია, ხასიათდება ჯიშური არომატით, ნაზი, ხავერდოვანი გემოთი.

Kotekhi micro-zone is located in Shida Kakheti, Gurjaani Municipality on the right bank of the Alazani River.

Dry humid climate which is transitional from subtropical to moderately humid subtropical, moderately cold winter and hot summer, alluvial, meadow brown, dark brown soils, high taste qualities and aroma of vine variety "Rkatsiteli" condition special merits of wine "Kotekhi".


Dry white wine "Kotekhi" subject to the place of origin title control is produced from vine variety of Rkatsiteli by complete boiling of grape must. The wine is of beige colour and is characterized by aroma of the variety and pleasant taste.

Dry red wine "Kotekhi" subject to the place of origin title control is produced from vine variety of Saperavi by complete boiling of grape must. The wine is of dark red colour and is characterized by aroma of the variety and pleasant, velvety taste.





მიკროზონა კოტეხი  
Kotekhi Microzone







## ზოგადი მონაცემები:

- კოორდინატები  
ჩ. გ. 41°35'  
ა. გ. 46°00'
- მაქიმლი მუნიციპალურ ცენტრამდე  
9 კმ.
- სიმაღლე ზღვის დონიდან  
350-550მ.
- ატმოსფერული ნალექები  
640 მმ.
- აქტიურ ტემპერატურათა  
ჯამი 4000-3700°C
- ყველაზე თბილი თვის საშ. ტემპერატურა  
24-23°C
- სეტყვიან დღეთა რიცხვი  
1,6
- სანედლეულო ბაზა  
ტიბაანი, ქვემო მაჩხაანი და ძველი ანაგის ნაწილი
- საერთო ფართობი  
350 კა.
- ღვინო „ტიბაანი“  
ალკოჰოლი  
11,5-13,0 მოც. %  
შაქარი არაუმეტეს  
4 გ/დმ<sup>3</sup>  
ტიტრული მჟავიანობა  
5,0-6,0 გ/დმ<sup>3</sup>
- რეგ. N 873

## General Data

- **Location**  
Northern longitude 41°35'  
Eastern Latitude 46°00'
- **Distance to Sighnaghi Municipality Center**  
9 km
- **Elevation above the sea level**  
